ხელშეკრულება № 282

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი „16" „ნოემბერი" 2012 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **გოგა გუგავას** სახით და **შპს „ტიტანი"**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **ვლადიმერ სულაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 15 ნოემბრის №1848 ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

დანართი №1-ით განსაზღვრული ტექნიკის (თანმდევი მონტაჟით) შესყიდვა (CPV-32340000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **7032.00 (შვიდი ათას ოცდათორმეტი) ლარს**.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის (თანმდევი მონტაჟით) ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის (თანმდევი მონტაჟით) მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში მისამართზე: თბილისი, გორგასალის ქ. 24ა;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე გონივრულ ვადებში უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

მიწოდებულ საქონელზე (თანმდევი მონტაჟით) გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელს), ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

6.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის (თანმდევი მონტაჟით) მიწოდების დროს, ისე საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდში საქონელს აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში გამოასწოროს წუნი ან ჩაანაცვლოს დაზიანებული საქონელი ახლით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის (თანმდევი მონტაჟით) მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის (თანმდევი მონტაჟით) ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის (თანმდევი მონტაჟით) მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **გოგა გუგავას** სახით,
მისამართი: თბილისი, გორგასალის ქ. 24ა,
ტელეფონი: 240 51 60,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ს/კ - 203845349

მიმწოდებელი:

შპს „ტიტანი"
წარმოდგენილი დირექტორის
ვლადიმერ სულაძის სახით,
მისამართი: თბილისი, ათონელის ქ. N29,
ტელეფონი: 299-96-80, 593-124-824
საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№ 3263602, სს „ქართუ ბანკი", კოდი: 220101081, ს/კ - 204393218

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	აქტიური ხმამაღლამოლაპარაკე	Bi-Amplified 2-way 500+100W Loudspeakers Proel FLASH15HA	ცალი	2	2450.00	4900.00
2	ხმამაღლამოლაპარაკის დასადგამი	Aluminium Speaker Stand Proel SPSK300BK	ცალი	2	140.00	280.00
3	მიქშერი	Mixer Proel M6	ცალი	1	590.00	590.00
4	მიკროფონის სადენი	Bulk Microphone Cable Proel HPC215	მეტრი	138	3.50	483.00
5	შესაერთებელი შტეკერი	Connectors Proel XLR3MVRD XLR 3-Pole Male	ცალი	8	3.00	24.00
6	შესაერთებელი შტეკერი	Connectors Proel XLR3FV XLR 3-Pole Female	ცალი	10	3.00	30.00
7	მაგიდის მიკროფონი	Table Microphone HT-D38	ცალი	1	170.00	170.00
8	რადიო მიკროფონი	Hand Held Wireless Microphone Kit Proel WM600M	ცალი	1	450.00	450.00
9	შესაერთებელი შტეკერი	Connectors Proel CBP6FH Combo Female	ცალი	1	9.00	9.00
10	შესაერთებელი შტეკერი	Connectors Proel XLR3MDLBK XLR 3-Pole Male	ცალი	1	3.00	3.00

11	შესაერთებელი შტეკერი	Connectors T-1018G 3.5mm Stereo Male Plug Gold	ცალი	2	1.50	3.00
12	მიკროფონის სადენი	Bulk Microphone Cable Proel HPC240	მეტრი	30	3.00	90.00
					სულ:	7032.00 ლარი

შემსყიდველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის **გოგა გუგავას** სახით

მიმწოდებელი:

შპს „ტიტანი"
წარმოდგენილი დირექტორის
ვლადიმერ სულამის სახით

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2012 წლის „16" „ნოემბერი"

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ტექნიკის (თანმდევი მონტაჟით) შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში. შპს „ტიტანთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი ---------- გოგა გუგავა